

ხარაგაულში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება აქტიურად მიმდინარეობს

კისხში საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა დასრულდა

„სოფლის მხარდაჭერი პროგრამის“ ფარგლებში, სოფლის სახლის მშენებლობისთვის 254 100 ლარი დაიხარჯა. სამუშაოები შპს „ტუკამ“ შეასრულა. საზოგადოებრივი ცენტრში ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება ექნება, სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს საჯარო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი სერვისით. დაბადების მონობისა და პირადობის დამადასტურებელი საბუთების



მიღებისთვის, ქონების რეგისტრაციისა და საბანკო მომსახურებით სარგებლობისთვის ადგილობრივ მცხოვრებლებს მუნიციპალურ ცენტრში წასვლა აღარ მოუწევთ, რაც მათ თანხებისა და დროის დაზოგვის საშუალებას მისცემს. უახლესი ტექნიკით აღჭურვილი შენობით სოფელ კიცხისა და მიმდებარე სოფლების მცხოვრებნი ისარგებლებენ. მათ ცენტრში ადგილობრივი კადრებში იმუშავენ უფასო ინტერნეტი, კომპიუტერული და ვიდეოკონფერენციის აპარატურა. აღსანიშნავია, რომ სოფელ კიცხში და მიმდებარე სოფლებში საზოგადოებრივი ცენტრები ხელმისაწვდომი იქნება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, აგრეთვე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისთვის. მათ საშუალება მიეცემათ, კომფორტულ გარემოში შეხვედნენ მოსახლეობას, მიანდონ ინფორმაცია, იმსჯელონ აქტუალურ საკითხებზე, დაგეგმონ და ჩაატარონ სხვადასხვა ღონისძიება. ცენტრში განთავსდება გამგებლის წარმომადგენლის ოფისიც. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ასეთი ტიპის საზოგადოებრივი ცენტრები სოფელ ლორეშასა და ხევში ფუნქციონირებს.

უბისა-ლორეშის ცენტრალური გზაზე ბატონის საფარის მოწყობა მიმდინარეობს

სოფელ უბისის საავტომობილო ხიდიდან, ლორეშის ადმინისტრაციულ ცენტრამდე 5.500მ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა მიმდინარეობს. პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება და ჯამში მასზე 959 813 ლარი დაიხარჯება. გზის სრული რეაბილიტაცია აგვისტოს თვეში დასრულდება. სამუშაოებს შპს „საპოველა“ ასრულებს.

სარგვეთი-ლორეშა-უბისის მიმართულებით გზის მოასფალტების საშუალება იწყება

ბაზალეთი-სარგვეთი-ლორეშა-უბისის ცენტრალური გზის კაპიტალური მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე ტენდერი უკვე გამოცხადდა. პროექტის ღირებულება 2 მილიონ 450 ათასი ლარი გახლავთ და სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება.

ხარაგაულში ახალი საავადმყოფო გაიხსნება

ხარაგაულში ახალი საავადმყოფოს მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. მრავალპროფილიანი, თხუთმეტ სანოლიანი სტაციონარის მშენებლობა ხარაგაულში სულ მალე დასრულდება. სტაციონარის მშენებლობის დასრულების შემდეგ, „ემერჯენს“ ამბულატორიაში ამბულატორიული და დიაგნოსტიკური მომსახურება



დარჩება, ხოლო ახლად აშენებულ საავადმყოფოში პაციენტებს კლინიკური მომსახურება გაენდება.

პროექტს ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აფინანსებს და მისი განხორციელებისთვის ჯამში მილიონ ექვსასი ათასი ლარი დაიხარჯება. სამუშაოებს შპს „მშენებელი 2004“ ასრულებს.

„სოკარ-ჯორჯია ბაზი“ ხარაგაულში გაიხსნება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში გაზიფიცირების სამუშაოები დაიწყო. პირველ ეტაპზე ბუნებრივი აირით უზრუნველყოფილი ბაზალეთის, ახალსოფლის, ჩხერისა და თეთრანყაროს მოსახლეობა იქნება.

გაზიფიცირების სამუშაოებს ხარაგაულში „სოკარ-ჯორჯია ბაზი“ კონტრაქტორი ფირმა „ინტერგაზი“ ასრულებს. მაგისტრალის მოსაწყობად საჭირო ყველა ინვენტარი ხარაგაულში უკვე შემოტანილია.

გაზიფიცირების სამუშაოები მიმდინარე წელს ასევე ჯაფარიულში, ლაშესა და კიცხში დაიწყება.

ხარაგაულში ახალი ამბულატორია აშენდა

ხარაგაულის ახალი „ემერჯენს ამბულატორიის“ საერთო ფართობი 435 კვადრატული მეტრია და, როგორც მცირე საოპერაციოს, ასევე რამდენიმე ადგილიან პალატას მოიცავს. პროექტი ჯანდაცვის სამინისტროდან დაფინანსდა და მისი ჯამური ღირებულება 548 045 ლარია.

წყალი 24-საათიანი გრაფიკით პატარა ხარაგაულს

ხარაგაულში ახლად აშენებულ ამბულატორიასა და მის მიმდებარე ქუჩებზე წყალმომარაგება აღდგა. „რეგიონალური განვითარების ფონდიდან“ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, მოწყობის ახალი სისტემა, ჩამონტაჟდა 250-ტონიანი ბეტონის ავზი, დაიდგა ახალი ტუმბო, რომელიც 110 კვ. ელექტროენერჯიას მოიხმარს და, შესაბამისად, ერთ საათში 100 ტონა წყალს აქაჩავს. აღნიშნული სამუშაოები შპს „პოლიმერკონტინერმა“ შეასრულა და ჯამში 173 890 ლარი დაიხარჯა. შეგახსენებთ, რომ სისტემა, დაახლოებით 20-25 წელია, მწყობრიდან იყო გამოსული და მთელი ამ ხნის განმავლობაში მოსახლეობას წყალი არ მიეწოდებოდა. ახლა პატარა ხარაგაულის დევედარიანის, გურამიშვილის და ჭიპაშვილის ქუჩის მოსახლეობას წყალი 24-საათიანი გრაფიკით მიეწოდება. მნიშვნელოვანია ასევე, რომ წყლის პრობლემა მოიხსნა ახლად აშენებულ ამბულატორიასა და ხარაგაულის N2 საბავშვო ბაღში.

დაბა ხარაგაულის ცენტრალური პარკი და შესასრულდა

ესტრადის რეაბილიტაციის პროექტი „რეგიონალური განვითარების ფონდიდან“ დაფინანსდა და მისი საერთო ღირებულება



449 999 ლარია. ღია ესტრადაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „შესპია მური“ შეასრულა. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, ესტრადაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის პანდუსი მოწყობდა.

მოიხსნება ლორეშა-მარიაშყაროს დაგეგმიური გზის მშენებლობის პროექტი

ლორეშა-მარიაშყაროს დამაკავშირებელი 8-კილომეტრიანი გზა მოიხსნება და დაიგეგმება. პროექტი „რეგიონალური განვითარების ფონდიდან“ 120 ათასი ლარით დაფინანსდა. გზის გასწვრივ მოწყობის სანიმუშო არხები.

ხიდ-ბოგირები გაათავსნა და საპასრკი

ხიდ-ბოგირების მშენებლობა ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და საერთო ჯამში პროექტზე 40 ათასი ლარი დაიხარჯა. ხიდ-ბოგირების აშენებამდე აღნიშნული სოფლების მოსახლეობა ერთმანეთს ამორტიზებული ხიდებით უკავშირდებოდა, რაც მათ გადაადგილებას საფრთხეს უქმნიდა. ამჟამად, ეს პრობლემა აღმოფხვრილია.

მოასფალტდა ვარკია-წყალაფორათის გზა

პროექტი „რეგიონალური განვითარების ფონდიდან“ 421 420 ლარით დაფინანსდა. სამუშაოები შპს „გეკამ“ შეასრულა.

გასული 3 წლის განმავლობაში ხარაგაულში 8 ახალი საბავშვო ბაღი აშენდა

გასული 3 წლის განმავლობაში საბავშვო ბაღები აშენდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ისეთ მალამოთან სოფლებში, სადაც



სკოლამდელი დაწესებულება არასდროს ყოფილა. ხიდარი, წყალაფორეთი, ვახანი, ლეღვანი, ვარკია, მოლითი, ზვარე და ბორითი — ის სოფლებია, სადაც პატარა აღსაზრდელები კომფორტულ და მოწესრიგებულ გარემოში სკოლისთვის ემზადებიან. იმისათვის, რომ ბავშვები თანამედროვე სკოლადარტებს კიდევ უფრო შეესაბამებოდნენ, გატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები. ხარაგაულის N1 საბავშვო ბაღში გარემონტდა სამზარეულო, სათავსო, სამრეცხაო და ორი ჯგუფის სველი ნერტილი; N2 ბაღში გარემონტდა სასწავლო და საძინებელი ოთახები, შეიცვალა იატაკი, ჭერი, დამონტაჟდა მეტალოპლასტიკის კარ-ფანჯრები, მოწესრიგდა სველი ნერტილები, მოხდა შენობის ფუნდამენტის გამაგრება და მოწყობილობა ჩაუტარდა ხევისა და მოლითის საბავშვო ბაღებს. რაც შეეხება ლორეშასა და წიფას, იქ საბავშვო ბაღები არ ფუნქციონირებდა, მიმდინარე წელს მოხდა შესაბამისი შენობების გარემონტება და სულ მალე ამ სოფლებს ახალი საბავშვო ბაღები ექნებათ.

მოასფალტდა კისხი-ხიდარის დაგეგმიური გზა

პროექტი „რეგიონალური განვითარების ფონდიდან“ 672 000 ლარით დაფინანსდა. აქამდე, მოსახლეობა ამორტიზებული გზით გადაადგილდებოდა, ახლა კი მათ საშუალება აქვთ, კომფორტულად იმგზავონ, რამაც მგზავრობის დროსა და ხარჯების შემცირებაც გამოიწვია. ხიდარში მოასფალტებული გზა არასდროს ყოფილა.

სოფელ ბორი „დღის ცენტრი“ გაიხსნება

სკოლაში ცენტრის ფუნქციონირებისთვის გარემონტდა ოთახები, გაკეთდა სპეციალური პანდუსები. სარემონტო სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან 35 ათასი ლარით დაფინანსდა. ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდა ასევე „დღის ცენტრის“ ფუნქციონირებისთვის საჭირო ინვენტარის შეძენა. ბორის საჯარო სკოლა-პანსიონის ბაზაზე არსებული „დღის ცენტრი“ 15 ბენეფიციარზე გათვლილი. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან იმუშავებენ სპეც-პედაგოგები და ფსიქოლოგები.

ცენტრში 6-იდან 18 წლამდე ასაკის მქონე შშმ პირები მიიღებენ. ბორის საჯარო სკოლა-პანსიონი აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაცია „ფონდი თბილისის მოზარდთა სახლთან“. აღსანიშნავია, რომ ფონდი სკოლის ბაზაზე არსებული დღის ცენტრის ბენეფიციარების კვებას თავად უზრუნველყოფს.

ფარცხნაის გზაზე ბატონის საფარი დაიწყო

ფარცხნაის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დასრულდა. სოფელში 1კმ და 200 მეტრი სიგრძის გზაზე ბეტონის საფარი დაიგო. სამუშაოები „რეგიონალური განვითარების ფონდიდან“ 250 395 ლარით დაფინანსდა. შეგახსენებთ, რომ პირველ ეტაპზე ფარცხნალში 2კმ-სა და 300 მეტრზე დაიგო ასფალტის საფარი.

მოასფალტდა ბაზალეთის ცენტრალური გზა

2 კმ. და 50 მეტრი სიგრძის გზაზე ასფალტის საფარი 2015 წელს სოფლის ცენტრამდე დაიგო. მიმდინარე წელს პროექტი გაგრძელდა და სამუშაოები სოფელ ბაზალეთიდან ქროლის მი-



მართულებით მიმდინარეობს. სოფელ ბაზალეთში ახლად მოასფალტებულ გზაზე „სოფლის მხარდაჭერი პროგრამის ფარგლებში“, გარე განათების სისტემა მოეწყობა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის მშენებლობა დასრულდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ცენტრალური ბიბლიოთეკის ახალი შენობის რეაბილიტაცია განხორციელდა. ამ დრომდე ბიბლიოთეკა არასტანდარტულ შენობაში იყო განთავსებული, სადაც თანამშრომლებისა და მკითხველებისათვის შესაბამისი პირობები არ არსებობდა.

ახალი ბიბლიოთეკა გაცილებით დიდ ფართობს იკავებს და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვა. შენობაში სამკითხველო და საკონფერენციო დარბაზებიც იფუნქციონირებს. პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდიდან 92 223 ლარით დაფინანსდა.

ახლად აშენებული ბიბლიოთეკის ბაზაზე ასევე საზოგადოებრივი ინოვაციების ცენტრი შეიქმნა. საქართველოს მასშტაბით აღნიშნული ტიპის დაწესებულებები 500 ბიბლიოთეკის ბაზაზე ამოქმედდება. საპილოტე პროექტების განხორციელება ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან დაიწყო.

მასალა მოამზადა ეპა შპს-მ

ხარბაულელეთის ნაჩუქარი სანატარიო ფოტოები

27 ივლისს დიდი სიხარული და სიამოვნება განიცადა ხარბაულის საზოგადოებამ. გვსტუმრობდა ქართული სამუსიკო ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე, საქართველოს სახელმწიფო და სხვა მრავალი პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, დიდი კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი.

მაყურებლებით სავსე დარბაზში, კინოთეატრში, ერთი გოგონა განსაკუთრებით გამოხატავდა თავის სიხარულს. ეს ხარბაულელთა მშვენიერი ასული, ნინო ავალიშვილი, გახლდათ. ამ დღეს ნინოს ნამდვილად ჰქონდა პოზიტიური ემოციებით დატვირთვის საფუძველი. ცნობილია, რომ ნინო საოპერო ხმის განსაკუთრებული მონაცემებითა დაჯილდოებული. ამ უნარს რომ სწორი მიმართულება მისცემოდა, პროფესიონალთა რწმევით, მან და-

ტოვა თავისი საყვარელი მესამე საჯარო სკოლა, ოჯახი, მშობლიური გარემო და დედაქალაქში გადავიდა. ამჯერად ნინო თბილისის 74-ე საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლეა, პარალელურად სწავლობს ევგენი მიქელაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში. მისი პედაგოგის, ქალბატონ ზაირა ხელაიას განმარტებით, ნინო დრამატული სოპრანოა. გოგონა საკმაოდ წარმატებით ხშირად მონაწილეობს სხვადასხვა კონკურსში. იგი განსაკუთრებული სიამოვნებით იგონებს 2016 წლის 16 მაისს, როცა აღნიშნულ სასწავლებელში გაიმართა კონცერტი, რომელზეც მონაწილე იყო დიდი კომპოზიტორი, ვაჟა აზარაშვილი.

ნინო ავალიშვილი - „დიდად მოხარული ვიყავი ამ კონცერტით, შევასრულე ვაჟა აზარაშვილის რომანსი „მასოვს თვალნი შენნი“ (ტექსტი ნიკოლოზ ბარათაშვილისა). კომპოზიტორს ძალიან მოე-

წონა ჩემგან შესრულებული ეს უმშვენიერესი რომანსი და შემდეგ მიმიწვია თავის კონცერტზე, რომელსაც ცნობილი კომპოზიტორები, მუსიკათმცოდნენი, პოეტები და ხელოვნების სხვადასხვა სფეროს ცნობილი პიროვნებები ესწრებოდნენ. ამჯერადაც ძალზე გახარებული დავარჩი იმ შეფასებით, რაც ჩემ მიმართ გამოითქვა. ამ ფაქტმა კიდევ უფრო აამაღლა ჩემი მოტივაცია...“

დღეს სულ ორივე საათის წინ შევიტყუე ხარბაულის მუნიციპალიტეტში ამ დიდი მოღვაწის სტუმრობის შესახებ და ოჯახის წევრებთან ერთად გამოვეშურე კომპოზიტორთან და მის ჭეშმარიტ ხელოვნებასთან შესახებ...“

მაყურებელთა დარბაზში პირველ რიგში ვიჯექი. სცენიდან შემიშინა დიდმა კომპოზიტორმა და ასევე დიდმა პედაგოგმა, ბატონმა ვაჟამ, ხელით მანიშნა და მიიმხმო. ის ძალზე გაახარა ჩემმა ხარბაულელობამ, მომეფერა და ჩემთვის ეს უალრესად ბედნიერი წუთი ფოტობიქტივიმაც აღუჭდა...“

მახარებს, რომ მოსწავლის რანგში ამ დიდ პედაგოგთან მე კვლავ მქეძება საინტერესო ურთიერთობა...“

„ვივრია“, „თეატრონი“ და სხვა. ამჯერადაც მსმენელი დატკბა კომპოზიტორის ისეთი აღიარებული მელოდებით, როგორებიცაა: „სიმღერა მთელი ჩემი ქონება“, „ისევ წვიმს“, „ტანგო“, „პატარა გოგო“, „დინამო, დინამო“, „ქსოველები მღერა“ და სხვა.

მონატრების გრძობა გავექარვა საყვარელი მომღერლის, ზურაბ კობეშვილის, ცნობილი მსახიობისა და ოპერის-ტის, ლადო ხელაშვილის, სტუმრობამ.

უსაზღვრო სიამოვნებას ეზიარა მსმენელი, როცა ზურაბ კობეშვილმა საქართველოს კათალიკოს - პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორისადმი მიძღვნილი სიმღერა შესასრულა მანანა დანგაძის ლექსზე.

ძალზე ორგანულად ერწყმოდა საოცარ მელოდებს პოეტი ქალბატონის მანანა დანგაძის, სულის გამაფაქიზებელი პოეზია, რომელსაც შთამბეჭდავი გრძობით კითხულობდა თვით ავტორი, დიდი კომპოზიტორის, ვაჟა აზარაშვილის, უსაყვარლესი მეუღლე.

გადამდები იყო ემოცია, როცა ვისმენდით პოეტის ლოცვის მსგავს სავერებებს:

„მინდა, გითხრა სიტყვა შენი სადარი, სიყვარულის ღმერთის ხატად გიცან, არ ნავლდება შენი ტრფობის ხანძარი,“



მომიტყვე, ფეხს რომ გადგამ, მიწა...“

ამ სანატარიო წუთებისათვის გვინდა, დიდი მადლიერება გამოვხატო ხარბაულის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და კულტურის სამსახურის მიმართ, რომელთაც უზრუნველყვეს ღირსეულ სტუმრებთან შეხვედრის მაღალ დონეზე ორგანიზება...“

...მეუროდა დიდი კომპოზიტორი და მეუროდა დარბაზი მქუხარე აპლოდისმენტების თანხლებით...“

მერი გიორგიძე



სოფლის ძლიერება პრომისმოყვარე აღამიანებზეა დამოხილადი

სოფელი ვერტყვილა ხარბაულის მუნიციპალიტეტის ხუნევის ადმინისტრაციული ერთეულის ულამაზესი სოფელია. იგი მდინარე ძირულის მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 460 მეტრზე მდებარეობს. ისტორიულ წყაროებში ვერტყვილა XVII ს-დან იხსენიება. თურმე ამ სოფელში დასავლეთ საქართველოდან ირანისკენ სავაჭრო გზა გადიოდა. გადმოცემით, სოფელში საბაჟო ყოფილა. ერთ ვაჭარს მეზაჟისთვის უთხოვია: არაფერი არ მაქვს და გამატარებ, „ვერტყვილაზე ტყვილა!“ - გაჯიუტებულია მეზაჟე. ამის შემდეგ ამ ადგილისათვის „ვერტყვილა“ დაურქმევიათ. სოფელში არის უძველესი წმინდა გიორგის სახელობის რესტავრირებული ეკლესია, რომელიც, გადმოცემით, VI საუკუნეშია აგებული. ეკლესიის ეზოს 500 წლოვანი ცაცხვის ხე ამშვენებს. ვერტყვილას თავში არის ასევე სალოცავი ნიში, რომლის ადგილზეც ადრე ხის პატარა ეკლესია ყოფილა. ვერტყვილა ბუნების მშვენიერებით დაუჯილდოებია უფაღს. სოფელს კიდევ უფრო მეტ მშვენიერებას შრომისმოყვარე ადამიანები ჰმატებენ.

ჯის საგანი იყო, როგორც ვენახის მოვლა. ქართული ჯიშის ფუტკარი ყოველთვის გამოირჩევა გამძლეობით, ლალანობითა და არააგრესიულობით. იგი განსაკუთრებული თავისებურებით ხასიათდება და მალაპროდუქტიულობითაც გამოირჩევა.

„მეფუტკრე ღვთის საქმეს ეხსახურება, რადგანაც ფუტკარი ყველა იმ პროდუქტს იძლევა, რომელიც ჯანმრთელობისთვის საუკეთესოა.“

„სოფლის მეურნეობაში მეფუტკრეობა ყველაზე გამოჩენილი დარგია და მისი მოვლა ძნელი სულაც არაა. ვინც ამ სფეროშია დაინტერესებული, მზად ვარ, ჩემი ცოდნა გაეზიარო. სასურველია, დამწყებმა მეფუტკრემ კონსულტაცია მცოდნე და გამოცდილ სპეციალისტთან გაიაროს ის დაკავალიანებს, სკას სწორად როგორ უნდა მოუაროს, ფუტკარი რომ არ დაუვაადეს და შრომა წყალში არ ჩაეყაროს. ყველაზე დიდი პრობლემა განაზღვრულ ფუტკარის ბუნებრივი ნაყრიანობაა: როცა ამინდები გამოდის, ოჯახი სკაში აღარ ეტყვა და ფუტკარი ნაყრიანობას იწყებს - ოჯახის ნახევარი ცალკე გამოყოფა და მეორე ოჯახად ყალიბდება. მცოდნე და გამოცდილ მეფუტკრემ ეს პროცესი უნდა შეაჩეროს, რადგან ნაყრიანობა თავლის მიღებაზე ხელს შეუშლის.“

რემო პირობებზე. რაც მეტს ამთაბარებ, მით მეტია მოსავალი. ყოფილა შემთხვევა წელიწადში ოთხი მოსავალი მიმიღია. ამინდ დიდი მნიშვნელობა აქვს, საჭიროა მზიანი ამინდი, წვიმაში ფუტკარი ვერ მუშაობს.“

რეზო პაქსაშვილმა მეფუტკრეობა დამოუკიდებლად შეისწავლა. მისი მოვლისა და შენახვის შესახებ ბევრ წიგნს კითხულობდა და ამავდროულად, ცოდნის გასაღრმავებლად მეფუტკრეობს ეხმარებოდა. ახლა კი, ბატონი რეზო პროფესიონალი მეფუტკრეა და თავის გამოცდილებას სხვასაც უზიარებს. ამბობს, რომ ამ საქმის დაწყება რთული ნამდვილად არაა.

„2016 წელს დაიწყება კიციხის საჯარო სკოლის შენობის სრული დემონტაჟი და ახალი სკოლის მშენებლობა. იმისათვის, რომ სასწავლო პროცესის შეფერხება არ მოხდეს განვიხილავთ ალტერნატიული ფართის რამდენიმე ვარიანტს. რაც შეეხება ზვარის საჯარო სკოლას, აქ რემონტი სასწავლო პროცესს ხელს არ შეუშლის. უნდა აღვნიშნო, რომ ზვარის საჯარო სკოლის რემონტი 3 წლის განმავლობაში იყო განათლების სამინისტროს სამოქმედო გეგმაში, მაგრამ საუკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის გამო სკოლის ქონება ე.წ. „ნთელ ზონაში“ გახლდათ მოხვედრილი. ვარაუდობდნენ სკოლის დანგრევას, რის გამოც ნებისმიერი ხარჯის განევა არამიზნობრივი იქნებოდა. აღსანიშნავია, რომ თითოეულ ინფრასტრუქტურულ პროექტთან დაკავშირებით ხარბაულის ადგილობრივმა თვითმმართველობამ აქტიურად იმუშავა და შედეგი სახეზეა. ეს ძალიან მასშტაბური პროექტებია, რომელიც სასიკეთოდ იმოქმედებს, როგორც სკოლებზე, ისე იქ დასაქმებულ ადამიანებზე. ტენდერში გამარჯვებულ სამშენებლო კომპანიებს ხაზგასმით

ადგილობრივების შემოსავლის ძირითადი წყარო სოფლის მეურნეობაა და მათი უმრავლესობა, ძირითადად, საკუთარი მეურნეობიდან მოყვანილი პროდუქტებით ირჩენს თავს. მეფუტკრეობა, მეხაღებობა, მესაქონლეობა, მეფრინველეობა - ეს იმ საქმიანობის ჩამონათვალია, რომელსაც ვერტყვილას მოსახლეობა ეწევა. თუმცა ყველაზე შემოსავლიანად აქ მცხოვრებლები მეფუტკრეობას ასახელებენ. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ოდითგანვე შრომისმოყვარე ქართველი ხალხისთვის ფუტკარი ისეთივე გარ-

ჭიროა,“ - ამბობს ჩვენი რუბრიკის რესპოდენტი, ვერტყვილის მკვიდრი, რეზო პაქსაშვილი, რომელიც 29 წელია მეფუტკრეობას მისდევს და მისთვის ეს საქმიანობა ერთგვარი შემოსავლის წყაროდ იქცა. ბატონი რეზო თავის საყვარელ საქმიანობაზე ვრცლად გვესაუბრება და რჩევებსაც გვაძლევს.

„ფუტკარი ოჯახის წევრებით მიყვარს და მის გარეშე ჩემი ცხოვრება ვერ წარმოიდგენია. ბავშვობიდან ვიყავი დაინტერესებული მეურნეობის ამ დარგით, თუმცა თანხის არქონის გამო ვერ შევედი ფუტკრის ოჯახის შექმნა. როდესაც სამხედრო სავალდებულო სამსახური მოვიხადე და დავბრუნდი ორი ღირსი ვიყიდე, გავზარდე და მეზობელს ფუტკრის ორ პაკეტში გავეცვალე. ასე დაიწყო ფუტკრის მომრავლება და 7 წელიწადში 150 ძირზე ავიდე,“ - გვიყვება რეზო მეფუტკრე.





რეზო პაქსაშვილი საკუთარი მეურნეობით კმაყოფილია და ამბობს, რომ ფუტკარი შემოსავლიანია, მაგრამ მისი შენახვა გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

„გასულ წლებში 3 ტონა თავლი ამომიღია, წელს კი, ერთ ტონას ველოდები. ფუტკრის პროდუქტიულობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გა-

ჩვენთან საუბარში ბატონი რეზო დანახებით ამბობს, რომ დღეს გაცილებით მეტი ფუტკარი ეყოლება, ხე-ტყეზე ხელმისაწვდომობა რომ ჰქონდეს. ის ასევე ნატურალური თავლის რეალიზაციის პრობლემებზეც საუბრობს და აცხადებს, რომ სახელმწიფო არ უნდა დაუმვას ბაზარზე ფალსიფიცირებული თავლის გაყიდვა.

„სკების პრობლემა მაქვს, დაძველდა. ფუტკარს რომ ვამთაბარებ, დაძველებული სკებით ვერ ვაძაბავ. ხე-ტყეზე ხელმისაწვდომობა რომ მქონდეს, სკებს ჩემი ხელით ვაკეთებდი და უფრო მეტ შემოსავლს მივიღებდი. მარტო თავლს კი არ ვაუკეთებდი რეალიზაციას, არამედ სკებსაც ვაყვავდი. რთული არ არის ფუტკრის გამრავლება, ინვენტარი რომ იყოს. ამ ეტაპზე 100 ძირი

„2016 წელს დაიწყება კიციხის საჯარო სკოლის შენობის სრული დემონტაჟი და ახალი სკოლის მშენებლობა. იმისათვის, რომ სასწავლო პროცესის შეფერხება არ მოხდეს განვიხილავთ ალტერნატიული ფართის რამდენიმე ვარიანტს. რაც შეეხება ზვარის საჯარო სკოლას, აქ რემონტი სასწავლო პროცესს ხელს არ შეუშლის. უნდა აღვნიშნო, რომ ზვარის საჯარო სკოლის რემონტი 3 წლის განმავლობაში იყო განათლების სამინისტროს სამოქმედო გეგმაში, მაგრამ საუკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის გამო სკოლის ქონება ე.წ. „ნთელ ზონაში“ გახლდათ მოხვედრილი. ვარაუდობდნენ სკოლის დანგრევას, რის გამოც ნებისმიერი ხარჯის განევა არამიზნობრივი იქნებოდა. აღსანიშნავია, რომ თითოეულ ინფრასტრუქტურულ პროექტთან დაკავშირებით ხარბაულის ადგილობრივმა თვითმმართველობამ აქტიურად იმუშავა და შედეგი სახეზეა. ეს ძალიან მასშტაბური პროექტებია, რომელიც სასიკეთოდ იმოქმედებს, როგორც სკოლებზე, ისე იქ დასაქმებულ ადამიანებზე. ტენდერში გამარჯვებულ სამშენებლო კომპანიებს ხაზგასმით



გაგრძელება მე-4 გვერდზე



ვულოცავთ ჩვენს თანამშრომელს - სიკეთითა და ქცევით მაღალი კულტურით გამორჩეულ ოთარ ლურსმანაშვილს - საყვარელი მშობლების: ვიტალი ლურსმანაშვილისა და მადონა კიკალიშვილის თანაცხოვრების საიუბილეო 30 წლისთავს;

„მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“

„უბისა“ ბულგარეთში „გრან-პრი“ აიღო

ხარაგაულის კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „უბისა“ ბულგარეთის ქალაქ ნესებრის ინტერნაციონალურ ფესტივალზე იმყოფება.

ფესტივალის „მზინი სანაპირო“ ბულგარეთში 22-24 ივლისს გაიმართა. „უბისა“ საუკეთესო ქორეოგრაფიული ნომრის წარმოდგენისთვის ფესტივალის უმაღლესი ჯილდო „გრან-პრი“ აიღო. ფესტივალის ორგანიზატორებისგან დიპლომი გადაეცათ ასევე ანსამბლის ხელმძღვანელებს, ზაზა და ელისო ლურსმანაშვილებს.



ყურადღება!

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელობით ხორციელდება პროექტი - „საქართველოს სამუშაო ძალის დროებითი შრომითი მიგრაციის პილოტირება პოლონეთსა და ესტონეთში“.

პოლონეთსა და ესტონეთში დროებით ლეგალურად დასაქმების მსურველები დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით ხარაგაულის სოციალური მომსახურების სააგენტოს. ტელ: 591-19-56-84

სამძიხარი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ თანამშრომლები თანაუგრძობენ ქალბატონ მაყვალა ჩახვაძეს ერთადერთი შვილის, საუკეთესო ქართველი ვაჟაკის ლევან სვანიძის გარდაცვალების გამო.

ქალბატონ მაყვალას ვუსურვებთ ჭირთა თმენასა და გამძლეობას ამ უდიდეს სულიერ ტრავმასთან გასამკლავებლად.



ლევან სვანიძე

გამომხმაველი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“

მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ. №15, ტელ: 22 32 25; ტირაჟი 1500 ცალი

პროექტ „FLEX“-ის პრეზენტაცია აშშ-ში ხარაგაულელ მოხალისეებს ჩაუბარდა

26 ივლისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ინოვაციების ცენტრში პროგრამა FLEX - ის გამარჯვებულმა, ფერიდე ბერაძემ, ხარაგაულელ მოხალისეებს ტრენინგი ჩაუტარა. ტრენინგი მიზნად „FLEX - ის“ პროგრამის გაცნობასა და პოპულარიზაციას ითვალისწინებდა. ფერიდე ბერაძემ პროგრამის შესახებ მსმენელს სრული ინფორმაცია მიანდა და მათ შეკითხვებსაც ამომწურავად უპასუხა.

„მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა FLEX სკოლის (15-17 წლის) მოსწავლეებს სთავაზობს შესაძლებლობას გაეცნონ ამერიკის კულტურას და ხალხს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის მეშვეობით, ისწავლონ ამერიკულ სკოლაში და იცხოვრონ ამერიკულ მასპინძელ ოჯახთან ერთად ერთი აკადემიური წლის მანძილზე. FLEX არის ყოფილი საბჭოთა კავშირის 10 ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის განკუთვნილი გაცვლითი პროგრამა, რომელიც სრულად ფინანსდება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ და მისი უპირველესი მიზანია, ამ ორი ქვეყნის ახალგაზრდებს შორის გააღრმავოს ურთიერთგაგება, რაც საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს

დააკვირდნენ და გამოცდილებას დაეწოდნენ უცხოეთში. FLEX და სხვა გაცვლითი პროგრამების მხარდაჭერის გზით, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და მსოფლიოს სხვა სახლებს შორის ურთიერთგაგების გაღრმავებას.“ განმარტა ფერიდე ბერაძემ ახალგაზრდებთან შეხვედრისას.

ფერიდე ბერაძე ბორის სკოლა-პანსიონის მეთორმეტე კლასის მოსწავლეა. იგი პროგრამის ფარგლებში 2 აგვისტოს ამერიკაში სასწავლებლად მიემგზავრება, სადაც დამამთავრებელ კლასს გაივლის.

უკვე ოცდამეცამე წელიწადია რაც FLEX-ის გაცვლითი პროგრამამ დაფინანსება გაუწია 23, 000 საშუალო სკოლის მოსწავლეს. 2015-2016 წელს 800 სტუ-



დენტი ჩაირიცხა ამერიკაში FLEX-ის პროგრამის ფარგლებში და მათ შორის 80 ქართველი.

საშუალო სკოლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები ასევე იღებენ მონაწილეობას პროგრამაში. დაახლოებით 10-15 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე მიემგზავრება შტატებში ამ პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად.

შეგახსენებთ, პროექტის პრეზენტაცია პროგრამა „საქართველოს მოხალისის“ ფარგლებში გაიმართა. პროგრამის საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ა/ო „შეღწევა“ ფინანსებს. ერთად ახორციელებს ამერიკის „საქართველოს მოხალისეს“ კოორდინატორები ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ბორის სკოლა-პანსიონის მოსწავლე გვანცა ბერაძე და სტუდენტი ლევან კურტიანიძე. მოხალისეებმა ერთობლივად არაერთი ღონისძიება განახორციელეს და სამომავლოდც რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება აქვთ დაგეგმილი.

თამარ მაღრაძე



ზავარის ბანაკი იწყება

მეოთხე წელია, „ტურიზმის ცენტრის“ ორგანიზებით სოფელ ზვარეში „კარგების ბანაკი“ იმართება. ყოველი წლის აგვისტოს დასაწყისში „კარგების ბანაკი“ 200-მდე ხარაგაულელი ახალგაზრდა იხვეწება. ბანაკში ასევე ისვენებენ ტურიზმის ცენტრის მიერ განხორციელებულ პროექტებში გამარჯვებული ახალგაზრდები, როგორც ხარაგაულიდან ასევე სხვა მუნიციპალიტეტებიდან.

2015 წელს პროექტ „ეტალონის“ დამფუძნებელმა და ნამყვანმა, გორა ტყემლაშვილმა, ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი გამოხატა და სოფელ ზვარეში, ხარაგაულელ ახალგაზრდებთან ერთად, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან პროექტ „ეტალონი“ გამარჯვებულმა 80-მდე ახალგაზრდამ დაესვენა. „კარგების ბანაკი“ სტუმრობდა თავად გორა ტყემლაშვილი, რომელმაც ინტელექტუალური თამაშის ნაშევრთავე შეიტავს. ეს იყო მნიშვნელოვანი მოვლენა, რადგან ჩვენი ბანაკის შესახებ გაიგო მთელმა საქართველომ, სხვადასხვა ქალაქიდან მოდიოდა სამაღლობელი წერილები და მონაწილე ახალგაზრდები უმაღლეს შეფასებას აძლევდნენ ზვარის „კარგების ბანაკი“ გატარებულ დაუფინანსებელ დღეებს.

არ შემოძლია, არ აღვნიშნო ხარაგაულელი ახალგაზრდების, ის უდიდესი მოლოდინი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში გრძელდება. დიდი მოლოდინით ელოდებიან ბანაკს სოფელ ზვარის მოსახლეობა და დამსვენებლები. ისინი „კარგების ბანაკის“ ყოველდღიური ცხოვრების აქტიური მონაწილეები ხდებიან. ადგილობრივები აღნიშნავენ, რომ სოფელ ზვარეში დამსვენებელთა რაოდენობამ საგრძნობლად იმატა მას შემდეგ, რაც ზვარის „კარგების ბანაკის“ ტრადიცია აღდგა.

„ტურიზმის ცენტრის“ მონვევით, სოფელ ზვარეში იმყოფებოდნენ ამერიკული ორგანიზაციის „მშენებლის კორპუსის“ ამერიკელი მოხალისეები, რომლებმაც ბანაკის ტერიტორია დაათვალიერეს. მათ აღიარეს ამ ადგილის უნიკალურობა, მოიხილნენ მისი სიმყუდროვე, სილამაზით, საოცარი ხედვებით და სურვილი და მზაობა გამოხატეს, რომ ამ ადგილზე მოეწყოს მათ მიერ ორგანიზებული ბანაკი, სადაც ახალგაზრდები მონაწილეობას საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან მიიღებენ. ბანაკს ორგანიზებას „ტურიზმის ცენტრი“ გაუკეთებს.

ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ზვარეში გამართულ ბანაკს დატვირთვა კომერციული თვალსაზრისითაც აქვს. ნელ-ნელა ორგანიზაციები ინტერესდებიან და „ტურიზმის ცენტრს“ ბანაკის ორგანიზებას უკვეთავენ. „მშენებლის კორპუსის“ ამერიკელი მოხალისეების მიერ ორგანიზებული ბანაკი 29 ივლისიდან 5 აგვისტომდე მოეწყობა.

ზვარის „კარგების ბანაკი“ დანტერესება იმაზე მეტყველებს, რომ სოფელ ზვარეში აუცილებელია, აშენდეს „ახალგაზრდული ცენტრი“, რომელიც მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებით იქნება დატვირთული და რომელიც მუნიციპალიტეტის განვითარებას შეუწყობს ხელს. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მოიძიოს ფინანსები და მოხდეს იქ მდებარე შენობის რეაბილიტაცია. იმედი გვაქვს, რომ მომავალ წელს სოფელ ზვარეში „ახალგაზრდული ცენტრი“ იფუნქციონირებს.

ა(ა)იპ „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრი“

სოფლის ძლიერება პრომისმოყვარე ადამიანებზეა დამოკიდებული

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ფუტკარი მყავს, რომელიც გასაყიდად არ მემეტება. რაც შეეხება ნატურალური თავლის რეალიზაციას, - არ ჭირს. გაკეთებული თავლი რომ არ გადიოდეს ბაზარზე, ამ შემთხვევაში ჩემს ნაშრომს მეტი ფასი ექნება.

რეზო პაქსაშვილს ფუტკრის მეურნეობაში აქტიურად ეხმარება მეუღლე ქალბატონი მზია. ორი შვილისა და ორი შვილიშვილის ბებია თავდაუზოგავად შრომობს იმისათვის, რომ ოჯახს არაფერი მოაკლოს. ქალბატონი მზია

არის საუკეთესო დედა. იგი ქართველი ქალისათვის დამახასიათებელი საუკეთესო თვისებებითაა შემკული. მის პიროვნებაში შრომისა და ოჯახის სიყვარულთან შერწყმულია ღვთიური სიმშვიდე, კლდემამოსილება. სტუმართმოყვარეობის ხიბლი, იშვიათი დიასახლისობა.

„ჩემს მეუღლეს ფუტკრის მოვლაში ვეხმარები. საკმაოდ შრომატევადი სა-მუშაოა და ერთი ადამიანი ვერ შეძლებს ყველაფერს. სოფლის მეურნეობის სხვა დარგებსაც მივდევთ, მაგრამ ფუტკარზე შემოსავლიანი არაფერია.

თავლი ჯანმრთელობისთვის ძალზე სასარგებლოა. ვურჩევთ ყველას, მოიშენონ ფუტკარი, ჯანმრთელობაც გაიმყვობოსონ სუფთა პროდუქტით და შემოსავალიც მიიღონ,“ - აცხადებს ქალბატონი მზია.

სოფლის ძლიერება პრომისმოყვარე ადამიანებზეა დამოკიდებული. რეზო პაქსაშვილი და მისი მეუღლე ამ მხრივ, სანიმუშონი არიან სოფელში. აბა მასზე დიდი მაღალი რა არის, რომ „იკაცს თავლი მისცე, ღმერთს კი- სანთელი“.

კაკა შანიძე

დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა სამშობლოში“

ღირაძეობი: კაკა შანიძე; ტელ.: 595 51 98 12